საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 41
25/07/2019

41-07-4-201907251459

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №41
2019 წლის 25 ივლისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 20 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ ლანჩხუთში, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N3 ნაგებობა სტადიონი (ს/კ 27.08.47.385).

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო